



ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- აქციზური და/ან არააქციზური მარკის დაბრუნების წესი
- მარკირების ნომინალური ღირებულების ანაზღაურების ვადა
- სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილებები



შერჩეული პირის მიერ მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის დაბრუნების წესი

2022 წლის 1 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 ივლისის ბრძანება №262, რომლითაც ცვლილებები შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ №996 ბრძანებაში. ცვლილების თანახმად, აღნიშნული ბრძანების 81 პრიმა მუხლს დაემატა 6-8 პუნქტები. მოცემული მუხლი განსაზღვრავს შერჩეული პირის (პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდების მომსახურებას შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში) მიერ მატერიალური ფორმის გამოუყენებელი აქციზური/არააქციზური მარკის დაბრუნების სპეციალურ წესებს.



ცვლილებით განისაზღვრა, რომ თუ აქციზური/არააქციზური მარკებით ნიშანდებულ იქნა ამავე მარკების სახეობისთვის შეუსაბამო საქონელი, შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაბამისი მარკები ჩათვალოს დაბრუნებულად და უტილიზირებულად, თუ შესრულდება ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:

- საბაჟო საწყობში განხორციელდა ან/და საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლინდა არასწორი ნიშანდება
- აქციზურ/არააქციზურ მარკებზე სრულყოფილად იდენტიფიცირდება შესაბამისი რეკვიზიტები
- შერჩეული პირისთვის და საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილია ინფორმაცია (რეესტრი) შესაბამისი საქონლის დასახელების, რაოდენობის და მათზე დაკრული აქციზური/არააქციზური მარკების სერიული ნომრის/სერიული ნომრის დიაპაზონის მითითებით. აღნიშნული ინფორმაციის (რეესტრის) სისწორე ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებულია (არსებობის შემთხვევაში) გადასახადის გადამხდელის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ცვლილებით განისაზღვრა ასევე პროცედურები და ვადები, რომლის დაცვაც აუცილებელია პროცესის დასრულებისთვის.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 2 აგვისტოდან.



არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულების ანაზღაურების ვადის ცვლილება

2022 წლის 1 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 ივლისის ბრძანება №264, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ №996 ბრძანებაში. ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების 112-ე (გარდამავალი დებულებები) მუხლის მე-13 პუნქტს. ახალი რედაქციით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით. ძველი რედაქციის თანახმად ასეთი ანაზღაურების ვადად მითითებული იყო პერიოდი 2022 წლის 31 ივლისამდე.

ცვლილება ძალაშია **2022 წლის 1 აგვისტოდან**.

მეთოდური მითითება

სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ

2022 წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 28 ივლისის ბრძანება N20231, სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული მეთოდური მითითება არეგულირებს სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების თაობაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების წესს. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს, რა შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები:

- სამეურნეო ოპერაცია გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის ექვემდებარება ანალიზს, შეფასებას და კვალიფიცირებას მისი შინაარსის (ნამდვილი ნების/მიზნის) მიხედვით და არა გაცხადებული ფორმის შესაბამისად, რათა აღმოიფხვრას გადასახადებისგან თავის არიდება, დამალვა ან/და შეღავათით არამართლზომიერად სარგებლობა.
- სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლის არსი და მიზანი, აგრეთვე, სხვა თანმდევი პროცესები და ქმედებები უნდა იყოს მკაფიო და ორმხრივად განჭვრეტადი (იგულისხმება საგადასახადო ორგანო და გადასახადის გამამხდელი).

.....
.....
.....
.....
.....



მეთოდური მითითება გამოსაყენებლად სავალდებულოა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, საგადასახადო შემოწმების ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების სსკ-ის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრისას.

აღნიშნული მეთოდური მითითებით შემუშავებულ იქნა ის სავალდებულო საფეხურები, რომელიც დაეხმარება აუდიტორს მარტივად გამოავლინოს საეჭვო სამეურნეო ოპერაციები. ეს სავალდებულო საფეხურებია:

- I - საეჭვო სამეურნეო ოპერაციის მოძიება და პირველადი შესწავლა.
- II - საეჭვო სამეურნეო ოპერაციის აღწერა და ანალიზი.
- III - საეჭვო სამეურნეო ოპერაციის არსებითობის შეფასება..
- IV - გადასახადის გადამხდელის გამოკითხვა.
- V - მესამე პირებისგან ინფორმაციის გამოთხოვა.
- VI - საეჭვო სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილება და შედეგების გაფორმება

მეთოდური მითითება ძალაშია **2022 წლის 1 აგვისტოდან.**



ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიბხლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მოიცავს ინფორმაციას ცვლილებების შესახებ ბრძანებაში და ეხება აქციზური/არააქციზური მარკების, მარკირების ნომინალური ღირებულების ანაზღაურების და სხვა თემებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MENukidze@bdo.ge

► ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემებზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.



შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შებენიერი კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.